ISSN 2667-9396

№ 27

საქნახშირი

მეშახტე

კომპანიის სიახლეები
ჩვენი თანამშრომლები
ღონისძიებები

ტყიბულის ამბები
იმერეთის სიახლეები
სპორტი

„საქნახშირი“ ახალი მარაგების მოსამზადებელ სამუშაოებს აწარმოებს

გვ. 3

გვ. 3

მეშახტეებს შორის ნარდის ჩემპიონატი გაიმართა

გვ. 4

ნაბოსლევში 6 კილომეტრიანი წყლის მაგისტრალი მოეწყო

გვ. 7

ღვინის საერთაშორისო ექსპერტებმა იმერული ღვინის კონკურსის გამარჯვებულები გამოავლინეს!

43 წელი სამთო სფეროში

ნანული აბულაძე

ნანული აბულაძე 43 წელია სამთო სფეროს ემსახურება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მიწისქვეშა ნაგებობებისა და შახტების მშენებლობის სპეციალობით დაამთავრა, მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა და მუშაობა „მინდელის" სახელობის შახტზე, ზედაპირულ კომპლექსში დაიწყო. მუშაობდა სატაბელო განყოფილებაში, სამარქშეიდერო განყოფილების კარტოგრაფად, კადრების განყოფილების გამგედ, ეკონომიკური სამსახურის ინჟინერ-ეკონომისტად და ასევე, მიწისქვეშა ვენტილაციის უბნის სამთო ოსტატად. რამდენიმე წლის განმავლობაში უშუალოდ შახტშიც უწევდა მიწისქვეშა სამუშაოების შესრულება. 2006 წლიდან სამარქშეიდერო განყოფილებაში, მხაზველ კარტოგრაფად დაიწყო მუშაობა და დღემდე ამ პოზიციაზეა. შახტში მისი უშუალო მოვალეობა ნახაზებისა და პროექტების შედგენაა. ქალბატონი ნანული ერთადერთი პროფესიონალი კარტოგრაფია, დიდი პასუხისმგებლობით ემსახურება სამთო სფეროს და განსაკუთრებულად უყვარს საკუთარი პროფესია. სამთო სფეროს სიყვარული და ინტერესი მამისგან ერგო - რეზო აბულაძე დამსახურებული მეშახტე გახლდათ. ნანულის მეუღლე, მირიან ჩხაიძე სამარქშეიდერო განყოფილების უფროსია. ასე რომ, დღეს ისინი ღირსეულად აგრძელებენ ოჯახის ტრადიციას და საკუთარი წვლილი შეაქვთ როგორც სამთო სფეროს, ისე კომპანიის განვითარების საქმეში.

ნანული აბულაძე: „უმაღლესი სასწავლების დასრულების შემდეგ „მინდელის" სახელობის შახტზე დავიწყე მუშაობა და დღემდე აქ ვარ. 43 წლიანი უწყვეტი გამოცდილება მაქვს სამთო სფეროში. ერთი დღეც ვერ წარმომიდგენია ამ სამსახურის და ჩემი საუკეთესო გუნდის გარეშე. კარგ ადამიანებთან მიწევს მუშობა, რაც ჩემთვის დიდი სტიმულია. წლების მანძილზე შახტში მუშაობამ დიდი ცოდნა და გამოცდილება შემძინა. ძალიან მინდა ეს ცოდნა ახალგაზრდა თაობას გავუზიარო, რომ შემდეგ მათაც შეიტანონ თავიანთი წვლილი ჩვენი სფეროს განვითარებაში. კომპანიის ხელმძღვანელობას შახტის განვითარების მრავალწლიანი გეგმა აქვს დასახული, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც კომპანიისთვის, ისე ჩვენი რეგიონისთვის. ხალხისთვის მართლაც დიდი იმედის მომცემია, რომ ამდენი რამ კეთდება და კომპანია არ წყვეტს განვითარებაზე ზრუნვას."

14 წელი „საქნახშირში"

გელა სოფრომაძე

გელა სოფრომაძე 14 წელია „საქნახშირის" თანამშრომელია. ის სამთოელის ოჯახიდანაა და ღირსეულად აგრძელებს ოჯახის ტრადიციას (მამა, რეზო სოფრომაძე 23 წლის მანძილზე „სტალინის" სახელობის შახტში ელექტრო ზეინკლად მუშაობდა). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა მიწიქვეშა დამუშავების სპეციალობით დაამთავრა. უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდგ სხვადასხვა კერძო კომპანიაში მუშაობდა. 2010 წელს კი „საქნახშირის" გუნდის წევრი გახდა. თავდაპირველად, ვენტილაციისა და უსაფრთხოების უბანზე, სამთო ოსტატად დასაქმდა. წლების განმავლობაში, რამდენჯერმე შეიცვალა პოზიცია. 4 წლის წინ N 1 ნახშირმომპოვებელი უბნის უფროსად დაინიშნა და დღემდე წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას.

გელა სოფრომაძე: „ამ კომპანიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, როგორც დასაქმებულებისთვის და რა თქმა უნდა, მთელი მუნიციპალიტეტისთვის. ვთვლით, რომ ამ სფეროს დიდი პერსპექტივა აქვს და იმედი გვაქვს, კიდევ უფრო განვითარდება ჩვენი კომპანია. „საქნახშირის" მენეჯმენტი დიდ ყურადღებას აქცევს მეშახტეთა დასაქმებას და შრომის უსაფრთხოებას, ასევე, სამუშაო საათებში საკვებით უზრუნველყოფას და ჯანმრთელობის დაზღვევას. მადლობა ყველას ამ გულისხმიერებისთვის და განსაკუთრებით გენერალურ დირექტორს, მიხაილ სოცკის. ჩვენთან მეგობრული, მშრომელი და წესიერი ადამიანები არიან დასაქმებულები და ერთი დიდი ოჯახი ვართ. ყველა მეშახტეს უსაფრთხო და წარმატებულ საქმიანობას ვუსურვებ."

14 წელი სამთო სფეროში

ზურაბ ვარდოსანიძე

ზურაბ ვარდოსანიძე 14 წელია სამთო სფეროში საქმიანობს. ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი ჰიდრო-ელექტრო ენერგეტიკოსის სპეციალობით დაამთავრა და მუშაობა „შაორჰესში" მექანიკური ჯგუფის მემონტაჟედ დაიწყო. შემდეგ სამუშაოდ „საქნახშირში" მიწისქვეშა ელექტრო-ზეინკლის პოზიციაზე გადმოვიდა. 2016 წელს N2 ნახშირმომპოვებელი უბნის უფროსად დაინიშნა და დღემდე წარმატებით საქმიანობს. ზურაბი ერთ-ერთი გამოცდილი და კვალიფიციური სამთოელია, წესრიგი და შრომის უსაფრთხოება მისი მთავარი პრიორიტეტია. განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს თითოეულ თანამშრომელთან და N2 ნახშირმომპოვებელი უბანიც გუნდურობითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩევა.

ზურაბ ვარდოსანიძე: „ჩემთვის, ყველა მეშახტისთვის და მთლიანად ტყიბულისთვის შახტა ძირითადი საარსებო წყაროა. მიყვარს ჩემი სამსახური და თანამშრომლები. წესიერი, მშრომელი ხალხი ვართ მეშახტეები, გვერდში ვუდგავართ ერთმანეთს, რაც ჩვენს ყოველდღიურ ურთიერთობაზე აისახება. ჩვენი შრომით ვზრუნავთ ერთმანეთის კეთილდღეობაზე და რეგიონის განვითარებაზე. ყველა მეშახტეს უსაფრთხო საქმიანობას და მიზნების ასრულებას ვუსურვებ. საყურადღებო და იმედის მომცემია, რომ კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს სამთო სფეროს განვითარებაზე, თითოეულ მეშახტეზე და მათ ოჯახებზე. „საქნახშირს" დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი ოჯახების, ქალაქის და მთლიანად რეგიონის კეთილდღეობაში."

17 წელი სამთო სფეროში

გია სულამანიძე

გია სულამანიძე „საქნაშირში" 2006 წელს სარემონტო-სამშენებლო უბნის ელექტრიკოსად დასაქმდა. წლების განმავლობაში შახტებისა და ადმინისტრაციული შენობის ელექტროობის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფდა, ასევე მუშაობდა ქვანახშირის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის და თბოელექტროსადგურის მშენებლობის ელექტრიკოსად. გარკვეული პერიოდის განმავლობაში სხვა კომპანიებში იყო დასაქმებული, 2023 წელს კი კვლავ „საქნახშირს" დაუბრუნდა და ადმინისტრაციული-საყოფაცხოვრებო კომპლექსის ზეინკლის პოზიციაზე დაიწყო მუშაობა. გარდა იმისა, რომ თავისი საქმის უბადლო მცოდნეა, ფლობს რამდენიმე უცხო ენას (რუსულს, იტალიურს და ფრანგულს) და განსაკუთრებულად უყვარს ჭადრაკი. აქტიურად ერთვება „საქნახშირის" მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში და მეშახტეებს შორის გამართული ჭადრაკის ტურნირის გამარჯვებული გახლავთ.

უმაღლესი განათლება ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიიღო (მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხებისა და იარაღების სპეციალსტი). ინსტიტუტის დასრულების შემდეგ ქუთაისის ავტოქარხანაში, მთავარ მექანიკურ სამმართველოში მუშაობდა. შემდეგ ჯარში გაიწვიეს და ვაზიანის სამხედრო-სასწავლო ბაზაზე ტანკისტის პროფესიას დაეუფლა (სპეციალობით საშუალო ტანკის მძღოლი-მექანიკოსია). გაწვეული იყო სომხეთშიც, ეჩმიაძინის სამხედრო ბაზაზე, სადაც ტანკისტად მსახურობდა. 1985 წელს მშობლიურ ტყიბულში დაბრუნდა და „საქენერგონახშირის" გამართვა-გაწყობის უბანში დასაქმდა. გარდა ამისა, ტყიბულის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროს ეკონომისტი და დირექტორის მოვალეობის შემსურებელიც იყო.

გია სულამანიძე: „ჩვენი შახტა ტყიბულისთვის დიდი საგანძურია. მშრომელი, საუკეთესო ადამიანები არიან მეშახტეები, მათ მხრებზე დგას მთელი ქალაქი. ეს სამსახური ჩემთვის ძალიან ძვირფასია. ყოველდღიურად ვრწმუნდები, რომ „საქნახშირი" ზრუნავს სამთო სფეროს განვითარებაზე და ზოგადად, რეგიონის კეთილდღეობაზე. გარდა ამისა, ტყიბულისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ტურიზმი, ჩვენს მუნიციპალიტეტს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს და იმედი მაქვს, ამ მიმართულებითაც განვითარდებით."

„საქნახშირი“ ახალი მარაგების მოსამზადებელ სამუშაოებს აწარმოებს

ბოლო თვეების განმავლობაში „საქნახშირი“ შეუჩერებლად ახორციელებს სარეაბილიტაციო და ახალი ველების გაყვანის სამუშაოებს. კომპანიის მიზანს სამუშაო გარემოსა და შრომის უსაფრთხოების გაუმჯობესება, ასევე, ქვანახშირის მოპოვების გაზრდა წარმოადგენს. ამ მიზნით, მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა N19 ველში, სადაც N6 საექსპლუატაციო უბანი მუშაობს. საექსპლუატაციოდ მომზადდა ახალი შრე, ბოლო ორი თვის განმავლობაში 1 ლავიდან დაახლოებით 16000 ტონა ქვანახშირი იქნა მოპოვებული (სექტემბერში 9000, ოქტომბერში 7000), რაც, შეიძლება ითქვას, რეკორდული მაჩვენებელია. კომპანიის მიზანია, რომ აღნიშნულმა უბანმა კიდევ უფრო გააუმჯობესოს მოპოვების მაჩვენებელი და დაჩქარდეს მოსამზადებელი სამუშაოების გაყვანა, რათა სამუშაო ფრონტი არ ჩამორჩეს.

ინტენსიური სამუშაოების წარმოების შედეგად, მომავალი წლის პირველ კვარტალში დასრულდება N10 საექსპლუატაციო ველის მომზადება, სადაც ძირა ჰორიზონტზე ახალი ქვესართული ამოქმედდება (+280 და +295 ჰორიზონტს შორის). აღნიშნულ ლოკაციაზე გაყვანითი სამუშაოები ამჟამად ფუჭ ქანში მიმდინარეობს. 2024 წლის დასაწყისში უკვე მზად იქნება წმენდითი სანგრევი და ამავე პერიოდიდან მოსაპოვებლად ხელმისაწვდომი იქნება ფაქტობრივად 200 000 ტონა ქვანახშირი. აღნიშნულ ლოკაციაზე ნახშირის მოპოვების სამუშაოებს დაიწყებს N2 საექსპლუატაციო უბანი.

პარალელურად, 17-ე საექპლუატაციო ველში მზადდება ახალი ქვესართული, რადგან ამჟამად მოქმედ ჰორიზონტზე მარაგები იწურება. ახალი ქვესართული დაახლოებით 300 000 ტონა ქვანახშირის მოპოვების შესაძლებლობას მოგვცემს. იანვარი-თებერვლის პერიოდში დაიწყება მოსამზადებელი სამუშაოების წარმოება და ახალ, N13 ველში საექპლუატაციო სამუშაოებს N4 უბანი გააგრძელებს. გარდა ამისა, ახალი ქვესართული მზადდება N15 ველშიც, სადაც N6 უბანი იმუშავებს.

საერთო ჯამში, N10, N13 და N15 ველებში განხორციელებული სამუშაოების შედეგად მოსაპოვებლად მომზადდება დაახლოებით 2500000 ტონა ქვანახშირი. ბოლო 3-4 თვის განმავლობაში, ამოსაღები ველების 80% უკვე მზად არის. მალე სამუშაოები სრულად დასრულდება და 2024 წლის პირველ ნახევარში აღნიშნულ ველებში მოპოვება დაიწყება.

რაც შეეხება სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ბოლო 2 თვის განმავლობაში კაპიტალურად შეკეთდა N13 და N15 ჯგუფური შუროები. მანამდე არსებული რთული მდგომარეობა საგრძნობლად აფერხებდა სამუშაოებს, თუმცა პრობლემები უკვე სრულად აღმოფხვრილია და უბნები გამართულად მუშაობენ. საშახტო ტრანსპორტისა და სარემონტო-აღდგენითი უბნის მიერ ძირითადი კაპიტალური გამონამუშევრების წესრიგში მოსაყვანად განხორციელდა მნიშვნელოვანი სამუშაოები; სისტემატურად მიმდინარეობს სალიანდაგო მეურნეობის მწყობრში მოყვანა; მნიშვნელოვანი ინვესტიციებია გამოყოფილი სატრანსპორტო მეურნეობის მოსაწესრიგებლად, საშახტო ელმავლების გასაუმჯობესებლად; შეძენილია სათადარიგო ნაწილები და აკუმულატორული ბატარეები; სისტემატურად ხორციელდება სავაგონო პარკის რემონტი, ასევე, რამდენიმე ათეული ვაგონით განახლდება სავაგონო პარკი; დაგეგმილია რელსების, განძელებისა და დამხმარე მასალების შემოტანა (ომბოხები, გვერდსაფენი, ქვეშსაფენი).

მაშსტაბური სამუშაოები ჩატარდა ვერტიკალურ ჭაურებშიც. 200 მმ დიამეტრის წყალსატუმბი მილები, რომლებიც ფაქტობრივად ამორტიზებული იყო სრულად გამოიცვალა; „მინდელის“ სახელობის შახტზე 400 მეტრის ახალი მილგაყვანილობა დამონტაჟდა; ასევე, წყალსატუმბი მილები გამოიცვალა დასავლეთ შახტზე; ძველი მილგაყვანილობების დემონტაჟი და ახლის მონტაჟი მიმდინარეობს „მინდელის“ შახტის საპულპე ჭაურშიც. პარალელურად, ხდება გვირაბების კეთილმოწყობა და გადამაგრება, რაც მუდმივი პროცესია და სამუშაოები დაუბრკოლებლად მიმდინარეობს.

მეშახტეებს შორის ნარდის ჩემპიონატი გაიმართა

"საქნახშირის სპორტული და გასართობი ღონისძიებების" ფარგლებში ნარდის ჩემპიონატი გაიმართა. შეჯიბრში მოანწილეობა 80-მდე მეშახტემ მიიღო. თამაშს "ტყიბულის ჭადრაკის ფედერაციის" ვიცე-პრეზიდენტი, იუზა დოლიძე ხელმძღვანელობდა. დღის ბოლოს გამარჯვებულები გამოვლინდნენ:

I ადგილი რაიბული აბუთიძემ დაიკავა.

II ადგილზე ბიჭიკო ჩაფიჩაძე გავიდა.

III ადგილი ზურაბ ცირეკიძეს ერგო.

"საქნახშირის" დირექტორმა, ალექსანდრ ლოვინმა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა, გვანცა დელიბაშვილმა გამარჯვებულებს სამახსოვრო სიგელები და ფულადი ჯილდოები გადასცეს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საჩუქარი 33 წარჩინებულ მოსწავლეს

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 33 მოსწავლეს, რომლებმაც 2022-2023 სასწავლო წლის საბაზო საფეხური წარმატებით დაასრულეს, პერსონალური კომპიუტერი გადაეცა.

ახალგაზრდებს მიღწეული შედეგი, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, ირინე კორძაიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ რობაქიძემ მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

გარდა ამისა, N4 საჯარო სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს და ტყიბულის საპატიო მოქალაქეს, **გრიგოლ ბრეგაძეს, ნახევარსაუკუნოვანი პედაგოგიური საქმიანობისთვის „საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის“ წოდება მიენიჭა.** მას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაწესებული ჯილდო - სერტიფიკატი და სამკერდე ნიშანი გადაეცა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჩუქარს ის მოსწავლეები იღებენ, რომლებმაც საბაზო საფეხური წარჩინებით დაასრულეს. სამინისტროს პროექტი მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდას, ცოდნის ამაღლებას და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას ითვალისწინებს.

ცინაძეების მრავალშვილიან ოჯახს სახლი გადაეცა

საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიამ, სოფელ მუხურაში მცხოვრებ ცინაძეების მრავალშვილიან ოჯახს სახლი შეუძინა და საკუთრებაში გადასცა.

ოჯახი ამ დრომდე სოფელ მუხურაში, ავარიულ სახლში ცხოვრობდა. ქ. ტყიბულში არსებული კერძო სახლი ცინაძეების ოჯახთან შეთანხმებით შეირჩა, რომელიც ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიძინა და ოჯახს საკუთრებაში გადასცა.

მრავალშვილიან ოჯახს ახალ სახლში გადასვლა ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა მერიის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად მიულოცა და სახლის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გადასცა.

უნდა აღინიშნოს, რომ საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტის მერიამ მეოთხე ოჯახი დააკმაყოფილა.

ნაბოსლევში 6 ჯილოფეტრიანი წყლის მაგისტრალი მოეწყო

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბოსლევში 80-იანი წლების შემდეგ მთავარ პრობლემას მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა წარმოადგენდა. ამჟამად უკვე დასრულდა სამუშაოები, რომელთა ღირებულებაც 400 000 ლარამდეა. რთული რელიეფისა და ტექნიკურად სპეციფიური სამუშაოების შესრულებით, საბოლოოდ წყლის პრობლემა გადაჭრილია.

წყალმომარაგების სისტემით, რომელიც 2 სათავე ნაგებობიდან იკვებება, 100-მდე ოჯახი ისარგებლებს და მოსახლეობას მიმდინარე პერიოდიდან 24 საათიანი წყალი მიეწოდება.

ადგილზე ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი და თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, რომლებმაც დასრულებული პროექტი დაათვალიერეს და მოსახლეობის სხვა საჭიროებებს გაეცვნენ.

წყლის სისტემის რეაბილიტაცია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა.

მუხურასა და საწირეში უფასო სამედიცინო აქცია გაიმართა

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს წითელი ჯვრის თანამშრომლობით, სოფელ მუხურასა და საწირის ადმინისტრაციულ ერთეულში უფასო სამედიცინო აქცია მოეწყო.

აქციის ფარგლებში, 100-მდე მოქალაქემ სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურება მიიღო. ადგილობრივებმა ისარგებლეს, როგორც თერაპევტისა და ნევროლოგის კონსულტაციით, ისე ინსტრუმენტული კვლევებით: მუცლის ღრუსა და ფარისებრი ჯირკვლის ექოსკოპია, ელექტროკარდიოგრაფია, გლუკოზის დონის განსაზღვრა სისხლში.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში უფასო სამედიცინო აქციები მომავალშიც გაგრძელდება.

ახალი სპორტული მოედანი ტყვარჩელის ქუჩაზე

ტყვარჩელის ქუჩაზე მინი სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. პროექტის ფარგლებში მოეწყო ხელოვნური საფარი, დამონტაჟდა კალათბურთის ფარი, ფეხბურთის კარები და გარე განათების სისტემა; მოედანი შემოისაზღვრა ბადე-პანელებით. 90 000 ლარამდე ღირებულების სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა.

ახალი სპორტული მოედანი ტყვარჩელის ქუჩაზე მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით მოეწყო. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოედანი ბავშვებთან ერთად გახსნეს.

ჯილდოვ ერთი წარმატება ჯრიჯში

25-29 ოქტომბერს, 2007-2008 წლებში დაბადებულ მოკრივეთა შორის ზურაბ სარსანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა. ღონისძება ფოთში გაიმართა, სადაც ტყიბულის სპორტული ცენტრის აღსაზრდელებმა არაჩვეულებრივად იასპარეზეს. 80კგ. წონით კატეგორიაში მეორე ადგილი ზურაბ ობოლაძემ დაიკავა, ხოლო 60კგ. წონით კატეგორიაში ნიკა ბარბაქაძე მესამე ადგილზე გავიდა (მათი მწვრთნელები არიან სპორტის ოსტატები გია დვალი და ვარლამ კობახიძე).

უნდა აღინიშნოს, რომ ზურაბ ობოლაძე მზადებას აგრძელებს „ჭაბუკ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონატისთვის" რომელიც ნოემბერში, სომხეთში გაიმართება.

ტყიბულელი კუნგ-ფუისტი კავკასიის ჩემპიონი გახდა!

სომხეთში „კავკასიის ღია პირველობა კუნგ-ფუში" გაიმართა, სადაც საქართველოს, სომხეთის, ირანისა და დაღესტანის გუნდები მონაწილეობდნენ. ტურნირი ერევანში, კუნგ-ფუს ორ სახეობაში ჩატარდა: „ფაიტინგი" (კონტაქტური ბრძოლა) და „შუაჯიაო" (ჭადაობა).

ტყიბულის კუნგ-ფუს სკოლის მებრძოლებმა ოლეგ ფანჩულიძის ხელმძღვანელობით წარმატებით იასპარეზეს: საბა აბესაძემ (33 კგ. წონით კატეგორია) და ბადრი ბოჭორიშვილმა (38 კგ. წონით კატეგორია) სამ - სამი ბრძოლა ჩაატარეს და საპრიზო ადგილებიც მოიპოვეს. საბა აბესაძემ ნახევარფინალში ირანელი მოწინააღმდეგე დაამარცხა და პირველი ადგილისა და კავკასიის ჩემპიონის ტიტულის მფლობელი გახდა. ბადრი ბოჭორიშვილი კი II ადგილზე გავიდა. აღსანიშნავია, რომ ტყიბულის კუნგ-ფუს სკოლის სპორტსმენები, ყოველთვის წარმატებით ასპარეზობენ როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამართულ შეჯიბრებებში.

კასპში გამართულ ტურნირზე ტყიბულელმა ძიუდოისტებმა წარმატებით იასპარეზეს

7-8 ოქტომბერს, ტყიბულელმა ძიუდოისტებმა კასპში, მალხაზ კუმლაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში მიიღეს მონაწილეობა. შეჯიბრი 2011-2012 წლებში დაბადებულ ვაჟთა შორის გაიმართა. გრიგოლ სოფრომაძისა და ირაკლი მერკვილაძის აღზრდილმა სპორტსმენებმა საკმაოდ კარგად იასპარეზეს. +55 კგ. წონით კატეგორიაში ნიკოლოზ ბეშკენაძემ, ხოლო +66 კგ. მძიმე წონით კატეგორიაში რომიკო მოდებაძემ მესამე ადგილი დაიკავეს.

ქუთაისში სახელოვნებო განათლების რეფორმასთან დაკავშირებით დისკუსია გაიმართა

საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის ინიციატივით ქუთაისში სახელოვნებო განათლების რეფორმასთან დაკავშირებით პანელური დისკუსია გაიმართა.

პანელურ დისკუსიაში, კომიტეტის წევრებთან ერთად, იმერეთის სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, რეგიონის თორმეტივე მუნიციპალიტეტის კულტურის სფეროს ექსპერტები და პედაგოგ-მასწავლებლები მონაწილეობდნენ.

კომიტეტის ინიციატივა სახელოვნებო განათლების რეფორმის მომზადებას შეეხება. კომიტეტის თავმჯდომარემ, ელისო ბოლქვაძემ სახელოვნებო განათლებაში არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა და ყურადღება სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის განსაზღვრის საკითხზე გაამახვილა.

ელისო ბოლქვაძის განცხადებით, სახელოვნებო განათლების რეფორმა კულტურის კომიტეტის ინიციატივით მზადდება და მისი იმპლემენტაცია, საქართველოს მასშტაბით, მომავალი წლიდან იგეგმება.

ელისო ბოლქვაძე: „ძალიან მალე, ჩვენ დავიწყებთ სახელოვნებო განათლების რეფორმას, რომელსაც კულტურის კომიტეტი კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად ამზადებს. დავიწყებთ საკომიტეტო მოსმენებს. ეს იქნება მნიშვნელოვანი ეტაპი. საზოგადოებას აქვს რეფორმის მიმართ დიდი ინტერესი და მოლოდინები. დღევანდელი შეხვედრა იყო ძალიან ინტერაქციული, ბევრმა მონაწილემ საინტერესო კითხვები დაგვისვა, გაგვიზიარეს როგორც გულისტკივილი, ასევე იმედები. ვფიქრობ, რეფორმა დიდ სიკეთეს მოუტანს როგორც ადამიანებს, ასევე სფეროს და დიდი მოტივაცია იქნება ახალგაზრდობისთვის.“



იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ზვიად შალამბერიძის განცხადებით, სახელოვნებო განათლების რეფორმა ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო იმერეთისთვის, არამედ მთლიანად საქართველოსთვის, რადგან მას დიდი ხანია ამ სფეროს წარმომადგენლები ელოდებიან.

ზვიად შალამბერიძე: „მისასალმებელია, რომ კულტურის კომიტეტმა და კულტურის სამინისტრომ ამ საკითხზე მუშაობა დაიწყეს. სწორედ ასეთი შეხვედრების შედეგად მივიღებთ ისეთ რეფორმას და ისეთ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებზე იქნება მორგებული.“

სახელოვნებო განათლების რეფორმასთან დაკავშირებით კულტურის კომიტეტის ინიციატივით თემატური შეხვედრები სამეგრელოსა და იმერეთში დასრულდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა რიკოთის ახალი მაგისტრალური გზის 27 კმ-იანი მონაკვეთი გახსნა!



გახსნის ღონისძიებას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ასევე დიპლომატიური კორპუსისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ხევი-შორაპნის 4 ზოლიანი, 27 კმ-იანი მონაკვეთი 65 ხიდსა და 38 გვირაბს მოიცავს.

ახალი მონაკვეთი რიკოთზე გადაადგილების მანძილს 8 კმ-ით, ხოლო გადაადგილების დროს 25 წუთით ამცირებს. ის აკავშირებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში უკვე აშენებული ჩქაროსნული მაგისტრალის მონაკვეთებს.

ირაკლი ღარიბაშვილი: „მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო, მივესალმები პატივცემულ ელჩებს, პარლამენტისა და მთავრობის წევრებს, ბიზნესის წარმომადგენლებს. პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ძალიან გახარებული და ბედნიერი ვარ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტის გახსნის ცერემონიაში ვიღებ მონაწილეობას. ჩვენ, ყველამ, კარგად ვიცით, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის მაგისტრალებისა და გზების მშენებლობას, განსაკუთრებით აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გზის მშენებლობას. დღევანდელი მდგომარეობით, 261 კმ მაგისტრალი არის გახსნილი, აქედან 193 კმ მაგისტრალი ჩვენი მთავრობის დროს აშენდა და გაიხსნა. ყველაზე რთული, გამოწვევებით აღსავსე იყო რიკოთის მონაკვეთი, რომელიც მიჩნეული იყო და არის ჯერ კიდევ ერთ-ერთი ყველაზე რთული და გამომწვევი მონაკვეთი, მაგრამ თქვენ უყურებთ, რომ აშენდა 4 ზოლიანი ჩქაროსნული მაგისტრალი და, რა თქმა უნდა, ეს პროცესი გრძელდება. ჩვენ დღეს საზეიმოდ გავხსენით 27 კმ-იანი, 4 ზოლიანი ახალი მაგისტრალური გზა, რომელიც მოიცავს 65 ხიდსა და 38 გვირაბს. ახალი გზის გახსნა გაუადვილებს ჩვენს მოქალაქეებს გადაადგილებას. რიკოთის მაგისტრალური გზა ჯამში 52 კმ იქნება, 97 ხიდი შენდება და 51 გვირაბი. დღეის მდგომარეობით, 48 გვირაბი უკვე გაჭრილია და 83 ხიდი - აშენებული. ეს არის გრანდიოზული სამუშაო, ყველაზე მასშტაბური პროექტი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მასშტაბის, სირთულის, გადაწყვეტის თვალსაზრისით, არ განხორციელებულა ჩვენი ქვეყნის რეალობაში ანალოგიური პროექტი!“



ზვიად შალამბერიძე: „დღეს რიკოთის მონაკვეთის უმნიშვნელოვანესი ნაწილი გაიხსნა. მთელი ქვეყნის ტვირთბრუნვის 60% სწორედ ამ გზაზე მიმდინარეობს და ეს ფაქტობრივად, ახალ შესაძლებლობებს ქმნის ჩვენი ქვეყნისთვის და განსაკუთრებით იმერეთისთვის. ახალი გზა საშუალებას იძლევა გაიზარდოს ტვირთბრუნვა, ასევე, მგზავრებისთვის გადაადგილებაც გაცილებით უსაფრთხო იქნება ვიდრე აქამდე იყო. შეიძლება ითქვას, რომ იმერეთის რეგიონი და ქუთაისი კიდევ უფრო დაახლოვდება თბილისთან. ჩვენი თანამოქალაქეებისთვის და ტურისტებისთვის, რომლებიც მიემართებიან დასავლეთ საქართველოში ან ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, გადაადგილება უფრო კომფორტული იქნება.“

რიკოთის მაგისტრალური გზის მშენებლობის ფარგლებში, ჯამში, შენდება 52 კმ-მდე გზა, 97 ხიდი და 51 გვირაბი. დღეისათვის, 48 გვირაბი უკვე გაჭრილია, 83 ხიდი კი, უკვე აშენებული. სამშენებლო სამუშაოები ინტენსიურად გრძელდება და პროექტი 2024 წელს დასრულდება.

რიკოთის მაგისტრალური გზის ახალი 27 კმ-იანი, 4 ზოლიანი მონაკვეთი იწყება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევთან და მთავრდება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის დაბა შორაპანთან.

ახალი გზა ითვალისწინებს საგზაო უსაფრთხოების ყველა თანამედროვე სტანდარტს, მათ შორის, გარე განათების სისტემასაც. რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის მშენებლობა 4 სექციად არის დაყოფილი: ჩუმათელეთი-ხევის, ხევი-უბისას, უბისა-შორაპნის და შორაპანი-არგვეთას მონაკვეთებად. პროექტის ფარგლებში, სურამთან, შროშასთან და ზესტაფონთან მოეწყობა სპეციალური სივრცეები, ე.წ. სავაჭრო მოედნები, სადაც მოსახლეობა საკუთარი პროდუქციის რეალიზაციას გამართული ინფრასტრუქტურისა და საგზაო უსაფრთხოების პირობებში შეძლებს.

რიკოთის მაგისტრალური გზის მშენებლობაზე დასაქმებული იყო 10,000 ადამიანზე მეტი, საიდანაც 70%-ზე მეტი საქართველოს მოქალაქეა. მშენებლობა საერთაშორისო საფინანსო ინტიტუტების: ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB), მსოფლიო ბანკისა (WB) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) მხარდაჭერით მიმდინარეობს.

სამშენებლო სამუშაოების ჯამური ღირებულება 2.6 მილიარდ ლარამდეა, პროექტის დასრულება კი, 2024 წელს იგეგმება.

„საქკაბელმა“ გადაიარაღებული საწარმოო სივრცე და ახალი შოურუმი გახსნა!

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით ზესტაფონში კომპანია „საქკაბელმა“ გადაიარაღებული საწარმოო სივრცე და ახალი შოურუმი გახსნა.

ღონისძიებას, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე რომეო მიქაუტაძე, იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, ზესტაფონის მერი ვასილ გველესიანი, აგრეთვე საჯარო, საბანკო, ელექტროინდუსტრიაში არსებული კომპანიების პარტნიორები და სხვა კერძო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ზვიად შალამბერიძე: ,,ადგილობრივი წარმოება უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის. სახელმწიფო მზად არის და ყოველთვის დაეხმარება საწარმოებს, რომლებიც მოტივირებულები იქნებიან, რომ გააფართოონ და კიდევ უფრო საინტერესო გახადონ თავიანთი წარმოება. ამის მაგალითია ,,საქკაბელი", თუ როგორ უნდა ითანამშრომლოს ბიზნესმა სახელმწიფოსთან და შესაბამისად წარმატების ფორმულაც სახეზეა. აღნიშნული კომპანია ყოველწლიურად ვითარდება და ექსპორტზეც გადის მათი პროდუქცია. ბიზნესის ხელშეწყობის კომპონენტით სახელმწიფო პროგრამა ,,აწარმოე საქართველოში" მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადგილობრივი წარმოებების განვითარებას, რაც დადებითად აისახება რეგიონის ეკონომიკურ ზრდაზე, ასევე ადგილობრივების დასაქმებაზე."

„საქკაბელმა“ „აწარმოე საქართველოში“ ბიზნეს უნივერსალის პროგრამის მხარდაჭერით, სესხის პროცენტის სუბსიდირებით ისარგებლა. კომპანიამ საწარმოში მანქანა-დანადგარები განაახლა და მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნადი სოლარ კაბელების წარმოება დაიწყო. საწარმომ ხარისხის ევროპული სერტიფიკატი აიღო, რაც ნიშნავს იმას, რომ „საქკაბელის“ წარმოებული პროდუქცია ყველა სათანადო სტანდარტს აკმაყოფილებს.

ინვესტიციის შედეგად კომპანიაში 35 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. ბიზნეს ურთიერთობის განვითარების ხელშემწყობი კონფერენციის დასრულების შემდეგ „საქკაბელს“ შემოსავლების სამსახურისგან ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცა. აღნიშნული სტატუსი კომპანიას ახალ გამარტივებულ საბაჟო შესაძლებლობებს აძლევს.

ღვინის საერთაშორისო ეჭსპერტებმა იმერული ღვინის ჯონჯურის გამარჯვებულები გამოავლინეს!

ღვინის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისა და იმერული ღვინის ცნობადობის ამაღლების მიზნით, DMO იმერეთისა და იმერული ღვინის ასოციაციის მიერ უკვე მეორე წელია იმერული ღვინის კონკურსი მიმდინარეობს.

საერთაშორისო ჟიურიმ გამარჯვებული მეღვინეები გამოავლინა, რომლებიც იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, იმერული ღვინის ასოციაციის ხელმძღვანელმა ქეთი ჯურხაძემ და DMO იმერეთის ხელმძღვანელმა მარი დევიძემ დააჯილდოვეს.

კონკურსში 32 ღვინის კომპანია და 120 ღვინო მონაწილეობდა. დიდი ოქროს მედლები 7 მეღვინეს გადაეცა, ოქროს მედალი აიღო 9 მეღვინემ, 17 კი ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა.

ზვიად შალამბერიძე: ,,მეორე წელია იმერული ღვინის კონკურსს ვმართავთ და უკვე ტრადიციად ვაქციეთ. ვფიქრობ, წელს ძალიან მასშტაბური გამოგვივიდა და მივაღწიეთ იმას, რომ საერთაშორისო ჟიური, საკმაოდ ავტორიტეტული სომელიეები გვყავდა. სპეციალურად კონკურსისთვის ღვინის ექსპერტები ამერიკიდან, ბრიტანეთიდან, ჰოლანდიიდან და უკრაინიდან ჩამოვიდნენ. გამარჯვებულებს შორის არის ისეთი იშვიათი ჯიშები, რომლებიც მივიწყებას იყო მიცემული და ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველაზე გავრცელებულ, პოპულარულ ჯიშებთან ერთად, აი ასეთ იშვიათ ჯიშებსაც გავუწევთ პოპულარიზაციას. გამარჯვებული მეღვინეებისთვის ბევრი ბენეფიტი გვაქვს, მათ შორისაა პროდუქციის წარდგენა გამოფენებზე საზღვარგარეთ, მათი ღვინოების აეროპორტის ,,დუთი-ფრიში" შეტანა და დამატებით სხვა პროექტებში ჩართვა."

აღნიშნული კონკურსის მთავარი იდეაა, რომ იმერეთს, როგორც ღვინის მწარმოებელ რეგიონს, რომელსაც ღვინის დამზადების თავისებური ტექნოლოგია და განსხვავებული ბუკეტის მქონე ღვინოები გააჩნია, ღვინის მსოფლიო რუკაზე საკუთარი ნიშნული ჰქონდეს.

თერჯოლაში 10 ოჯახს საცხოვრებელი სახლი გადაეცა

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, საცხოვრებელი სახლი სოციალურად შეჭირვებულ 10 ოჯახს გადაეცა. აღნიშნულ ოჯახებს სახლების გასაღები გადასცა და ახალმოსახლეობა მიულოცა იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ.

ზვიად შალამბერიძე: ,,თერჯოლაში დღეს კიდევ ათმა ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა და მათ სრულიად კეთილმოწყობილი სახლები გადაეცათ. თერჯოლაში, ამ პროექტის ფარგლებში, ჯამში 29 ოჯახის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება შევძელით. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პროექტს სხვა მუნიციპალიტეტებიც შეუერთდნენ და წელს, წყალტუბოსა და ტყიბულის თვითმმართველობების გადაწყვეტილებით, სახლები გადაეცა იმ ოჯახებს, რომელთაც ყველაზე მეტად ჰქონდათ ამის საჭიროება. მომავალ წელს აღნიშნულ პროექტს კიდევ უფრო გავაფართოვებთ და იმერეთის სხვა მუნიციპალიტეტებიც შეუერთდებიან."

პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას ან/და შეძენას, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო დემონტაჟს ექვემდებარება.

მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხი შესაბამისმა კომისიამ შეისწავლა და გადაწყვეტილება დეტალური განხილვის შედეგად მიიღო. მუნიციპალიტეტში უკვე მეხუთე წელია ,,სახლდაზიანების პროგრამა" ხორციელდება, რომლის ფარგლებში, საერთო ჯამში, საცხოვრებელი სახლით 29 ოჯახი არის უზრუნველყოფილი. სოციალური მიმართულებით, ოჯახების გაძლიერების მიზნით აღნიშნული პროგრამა მომავალ წელსაც განხორციელდება.

მეშახტე
ოქტომბერი 2023

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, მაკა კობახიძე, გაგა ისაკაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა, ხვიჩა გაბუნია.
მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

ჟურნალტიპული გამოცემა
www.facebook.com/saknakhshiri